პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 6 (142) | შაბათი, 3 მარტი, 1956 წ. გამოსვლის მეხუთე წელი | ფასი 20 კაპ.

სამჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი** შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი.

პლენუმმა აირჩია **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო** შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი.

პლენუმმა **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის** თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — ამხ. პ. ტ. კომაროვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

1. ავხიმოვიჩი ნ. ე.
2. ალფეროვი პ. ნ.
3. ანდრეევი ა. ა.
4. არისტოვი ა. ბ.
5. ბაბაევი ს.
6. ბაიბაკოვი ნ. კ.
7. ბელიაევი ნ. ი.
8. ბენედიქტოვი ი. ა.
9. ბეშჩევი ბ. პ.
10. ბობროვნიკოვი ნ. ი.
11. ბოიცოვი ი. პ.
12. ბრეჟნევი ლ. ი.
13. ბროდნევი დ. დ.
14. ბულგანინი ნ. ა.
15. ვანიკოვი ბ. ლ.
16. ვასილევსკი ა. მ.
17. ვოლკოვი ა. პ.
18. ვოროშილოვი კ. ე.
19. ვორონოვი გ. ი.
20. გაიუკი ა. ი.
21. გაფუროვი ბ.
22. გორიაჩევი ფ. ს.
23. გრიშინი ვ. ვ.
24. გრიშანი ი. ტ.
25. გრომიკო ა. ა.
26. დანიალოვი ა. დ.
27. დემენტიევი პ. ვ.
28. დენისოვი გ. ა.
29. დერიუგინი ბ. ი.
30. ჯავახიშვილი გ. დ.
31. დორონინი პ. ი.
32. დუდოროვი ნ. პ.
33. ენიუტინი გ. ვ.
34. ეფრემოვი მ. ტ.
35. ეფრემოვი ლ. ნ.
36. ჟეგალინი ი. კ.
37. ჟუკოვი გ. კ.
38. ზავენიაგინი ა. პ.
39. ზადიონჩენკო ს. ბ.
40. ზვერევი ა. გ.
41. იგნატოვი ნ. გ.
42. იგნატოვი ნ. ფ.
43. იგნატიევი ს. დ.
44. კაბანოვი ი. გ.
45. კაგანოვიჩი ლ. მ.
46. კალნბერზინი ი. ე.
47. კალჩენკო ნ. ტ.
48. კაპიტონოვი ი. ვ.
49. კირილენკო ა. პ.
50. კირიჩენკო ა. ი.
51. კიხელოვი ნ. ვ.
52. კლიმენკო ვ. კ.
53. კობელევი ბ. ნ.
54. კოვრიგინა მ. დ.
55. კოზლოვი ფ. რ.
56. კოლუშინსკი ე. პ.
57. კონევი ი. ს.
58. კორნეიჩუკი ა. ე.
59. კოროტჩენკო დ. ს.
60. კოსიგინი ა. ნ.
61. კუზნეცოვი ვ. ვ.
62. კუნაევი დ. ა.
63. კუუსინენი ო. ვ.
64. კუჩერენკო ვ. ა.
65. კებინი ი. გ.
66. ლარიონოვი ა. ნ.
67. ლაპტევი ნ. გ.
68. ლატუნოვი ი. ა.
69. ლობანოვი ი. კ.
70. ლუხმანოვი დ. ი.
71. მაზუროვი კ. ტ.
72. მალენკოვი გ. მ.
73. მალინოვსკი რ. ი.
74. მალიშევი ვ. ა.
75. მარკოვი ვ. ს.
76. მარჩენკო ი. ტ.
77. მაცკევიჩი ვ. ვ.
78. მჟავანაძე ვ. პ.
79. მიქოიანი ა. ი.
80. მიტინი მ. ბ.
81. მიხაილოვი ნ. ა.
82. მოლოტოვი ვ. მ.
83. მოსკვინი ვ. ა.
84. მოსკალენკო კ. ს.
85. მურატოვი ზ. ი.
86. მუსტაფაევი ი. დ.
87. მუხიტდინოვი ნ. ა.
88. ნასრიდინოვა ი. ს.
89. ორგანოვი ნ. ნ.
90. პანკრატოვა ა. მ.
91. პატოლიჩევი ნ. ს.
92. პეგოვი ნ. მ.
93. პერვუხინი მ. გ.
94. პეტუხოვი კ. დ.
95. პოდგორნი ნ. ვ.
96. პოლიანსკი დ. ს.
97. პონომარიოვი ბ. ნ.
98. პონომარენკო პ. კ.
99. პოსპელოვი პ. ნ.
100. პროკოფიევი ვ. ა.
101. პუზანოვი ა. მ.
102. პისინი კ. გ.
103. რაზუმოვი ე. ზ.
104. რაზაიკოვი ი. რ.
105. რუმიანცევი ა. მ.
106. საბუროვი მ. ზ.
107. სერდიუკი ზ. ტ.
108. სეროვი ი. ა.
109. სნეჩკუსი ა. ი.
110. სოკოლოვსკი ვ. დ.
111. სტახურსკი მ. მ.
112. სტრუევი ა. ი.
113. სუხლოვი ვ. ი.
114. სუსლოვი მ. ა.
115. ტევოსიანი ი. თ.
116. ტიტოვი ვ. ნ.
117. ტიტოვი ფ. ე.
118. ტიხომიროვი ს. მ.
119. თოვმასიანი ს. ა.
120. უსტინოვი დ. ფ.
121. ფურცევა ე. ა.
122. ხვოროსტუხინი ა. ი.
123. ხრუნიჩევი მ. ვ.
124. ხრუშჩოვი ნ. ს.
125. ჩერნიშევი ვ. ე.
126. შვერნიკი ნ. მ.
127. შელეპინი ა. ნ.
128. შეპილოვი დ. ტ.
129. შკოლნიკოვი ა. მ.
130. შტიკოვი ტ. ფ.
131. იუდინი პ. ფ.
132. იაკოვლევი ი. დ.
133. იასნოვი მ. ა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

1. ანდრეევა ნ. ნ.
2. ბაგრამიანი ი. ქ.
3. ბირიუზოვი ს. ს.
4. ბორისოვი ს. ზ.
5. ბუბნოვსკი ნ. დ.
6. ბუდიონი ს. მ.
7. ბუტუზოვი ს. მ.
8. ვორონოვი ფ. დ.
9. განენკო ი. პ.
10. გლუხოვსკი გ. ნ.
11. გორბატოვი ა. ვ.
12. გორშკოვი ს. გ.
13. გრეჩკო ა. ა.
14. გრეჩუხა მ. ს.
15. გრიშინი კ. ნ.
16. გრიშკო გ. ე.
17. გრომოვი ე. ი.
18. გურეევი ნ. მ.
19. დიგაი ნ. ა.
20. ევსეენკო მ. ა.
21. ელიუტინი ვ. პ.
22. ეპიშევი ა. ა.
23. ერემენკო ა. ი.
24. ჟავორონკოვი ვ. გ.
25. ჟიგარიოვი პ. ფ.
26. ჟიმერინი დ. გ.
27. ჟუკოვი კ. პ.
28. ჟურინი ნ. ი.
29. ზაკურდაევი ვ. ი.
30. ზამჩევსკი ი. კ.
31. ზარუბინი გ. ნ.
32. ზოლოტუხინი გ. ს.
33. ზორინი ვ. ა.
34. ზოტოვი ვ. პ.
35. ივაშჩენკო ო. ი.
36. ისლიუკოვი ს. მ.
37. იშკოვი ა. ა.
38. კაზანეცი ი. პ.
39. კალმიკოვი ვ. დ.
40. კანუნიკოვი მ. ი.
41. კარახევი გ. ი.
42. კლიმოვი ი. პ.
43. კოვალი კ. ი.
44. კოზლოვი ა. ი.
45. კოზლოვი ვ. ი.
46. კომაროვი პ. ტ.
47. კომიახოვი ვ. გ.
48. კონსტანტინოვი ფ. ვ.
49. კორნეეცი ლ. რ.
50. კოსოვი ვ. ვ.
51. კოსტოუსოვი ა. ი.
52. კრახმალევი მ. კ.
53. კუმიკინი პ. ნ.
54. ლაცისი ვ. ტ.
55. ლიხაჩოვი ი. ა.
56. ლობანოვი პ. პ.
57. ლოგინოვი ს. პ.
58. ლომაკო პ. ფ.
59. ლუნევი კ. ფ.
60. ლუჩინსკი ა. ა.
61. ლიკოვა ლ. პ.
62. მაქსარევი ი. ე.
63. მალიკი ი. ა.
64. მელნიკოვი ლ. გ.
65. მელნიკოვი რ. ე.
66. მენშიკოვი მ. ა.
67. მილარშჩიკოვი ვ. პ.
68. მურისევი ა. ა.
69. ნაიდეკი ლ. ი.
70. ნედელინი მ. ი.
71. ნეფედოვა ო. ი.
72. ნიკიტინი პ. ვ.
73. ნოსენკო ი. ი.
74. ორლოვი გ. მ.
75. ორლოვსკი კ. პ.
76. ოსტროვიტიანოვი კ. ვ.
77. პავლოვი დ. ვ.
78. პალეცკისი ი. ი.
79. პეტუხოვი ა. უ.
80. პილიპეცი ს. ბ.
81. პოპოვა ნ. ვ.
82. პოსტოვალოვი ს. ო.
83. პრელიაკოვი ა. პ.
84. რაიზერი დ. ი.
85. რაშიდოვი შ.
86. რუდაკოვი ა. პ.
87. რუდენკო რ. ა.
88. რუდი გ. ი.
89. რიაბიკოვი ვ. მ.
90. სემიჩასტნი ვ. ე.
91. სენინი ი. ს.
92. სიზოვი გ. ფ.
93. სინიავსკი ა. ე.
94. სკიდანენკო ი. ტ.
95. სკულკოვი ი. პ.
96. სმირნოვი ნ. ი.
97. სოკოლოვი ტ. ი.
98. სოლოვიოვი ლ. ნ.
99. სტეპანოვი ს. ა.
100. სტროკინი ნ. ი.
101. სურგანოვი ფ. ა.
102. სურკოვი ა. ა.
103. ტარასოვი მ. პ.
104. ტაშენევი ფ. ა.
105. ტიმოშენკო ს. კ.
106. ტოკა ს. კ.
107. ტროფიმოვი ა. ს.
108. ტუმანოვა ზ. პ.
109. ტური ი. პ.
110. ფადეევი ა. ა.
111. ფირიუბინი ნ. პ.
112. ფლორენტიევი ლ. ი.
113. ხახალოვი ა. უ.
114. ჩეპლაკოვი პ. ფ.
115. ჩუბინიძე მ. დ.
116. ჩუიკოვი ვ. ი.
117. ჩურაევი ვ. მ.
118. შაშკოვი ზ. ა.
119. შერემეტიევი ა. გ.
120. შუმაუსკასი მ. ი.
121. იუდინი პ. ა.
122. იურკინი ტ. ა.

პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

1. აბაბკოვი ტ. ი.
2. აბალინი ს. ფ.
3. აგაიევი ვ. მ.
4. არუშანიანი შ. მ.
5. ბაბარი ვ. ი.
6. ბოიკოვა ა. პ.
7. ვინოგრადოვი ს. ა.
8. ვორობიოვი გ. ი.
9. გორკინი ა. ფ.
10. გრომოვი გ. პ.
11. გუბინი კ. ა.
12. დოროშენკო პ. ე.
13. დუბკოვეცკი ფ. ი.
14. ჟუკოვი გ. ა.
15. ზიმიანინი მ. ვ.
16. ისრაგილოვი ი. ა.
17. იგნატოვი ს. ა.
18. ილიჩოვი ლ. ფ.
19. კაზმინი ნ. დ.
20. კაიროვი ი. ა.
21. კამალოვი ს.
22. კიდინი ა. ნ.
23. კირილინი ვ. ა.
24. კოსიაჩენკო გ. პ.
25. კროტოვი ვ. ა.
26. კუზნეცოვი ფ. ფ.
27. კუზმინი ი. ი.
28. კუზმინი ნ. მ.
29. კულატოვი ტ.
30. ლაზურენკო მ. კ.
31. ლუკიანოვი ვ. ვ.
32. მალინი ვ. ნ.
33. მალინინი მ. ს.
34. მერეცკოვი კ. ა.
35. მირონოვა ზ. ვ.
36. მოსკატოვი პ. გ.
37. მოსკოვსკი ვ. პ.
38. მურავიოვა ნ. ა.
39. ოვეზოვი ბ.
40. ოზოლინი კ. მ.
41. ორლოვი მ. ა.
42. ოსიპოვი გ. ი.
43. ოსოკოვი ვ. ი.
44. პალგუნოვი ნ. გ.
45. პანიუშკინი ა. ს.
46. პოდზერკო ვ. ა.
47. პოლიკარპოვი დ. ა.
48. პროკონენი პ. ს.
49. პროკოფიევი ა. ა.
50. პრომისლოვი ვ. ფ.
51. პუშკინი გ. მ.
52. როგანჩუკი ნ. მ.
53. სტრიუკოვი პ. ა.
54. სემიონოვი ვ. ს.
55. სიმონოვი კ. მ.
56. სპირიდონოვი ა. მ.
57. სუეტინი მ. ს.
58. ულჯაბაევი ტ.
59. ჩერედნიჩენკო ე. ტ.
60. შიკინი ი. ვ.
61. შტრობიცკი ვ. ვ.
62. იუსუპოვი ი.
63. იაკოვლევი ა. ი.

ს ა ხ ა ლ ხ ო   გ მ ი რ ი

ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი

1906 წლის 18 (31) იანვარს იმპერატორის რუსეთის სადამსჯელო მისიონერმა გენერალ მელლერ-ზაკომელსკის დამსჯელმა ექსპედიციამ, წინასწარი დაკითხვისა და გამოძიების გარეშე მხეცურად დახვრიტა ექვსი რევოლუციონერი მუშა, რომელთაც დიდძალი იარაღი მიჰქონდათ ირკუტსკში ცალკე ვაგონით. მათ შორის იყო ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი — „დიდი პარტიული მუშაკი, პარტიის სიამაყე, ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად შესწირა მუშათა საქმეს" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 450).

ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი დაიბადა 1873 წლის 15 იანვარს ვოლოგდის გუბერნიის სოფ. ლედენგსკში, ღარიბი გლეხის ოჯახში. რევოლუციურ მოძრაობაში ბაბუშკინი ჩაება 1891 წელს, როცა პეტერბურგის სემიანნიკოვის ქარხანაში მუშაობა დაიწყო ზეინკლად. იგი აქ პირველად ეცნობა რევოლუციურად განწყობილ მუშებს, კითხულობს არალეგალურ ბროშურებსა და ფურცლებს, სწავლობს საღამოს საკვირაო სკოლაში, სადაც მასწავლებლებად მუშაობდნენ ნ. კ. კრუპსკაია, ლ. მ. კნიპოვიჩი და სხვები.

1894 წლის შემოდგომაზე ბაბუშკინი პირადად ეცნობა ვ. ი. ლენინს და ერთ-ერთ მარქსისტულ წრეში იწყებს მეცადინეობას, რომელსაც ვლადიმერ ილიჩი ხელმძღვანელობდა. ვ. ი. ლენინის გაცნობამ და მის მიერ შექმნილ მარქსისტულ წრეში მეცადინეობამ საბოლოოდ განსაზღვრა ბაბუშკინის პოლიტიკური მრწამსი. ამ დროიდან იგი ხდება ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და უახლოესი თანაშემწე. 1894 წ. დეკემბერში მან ვ. ი. ლენინთან ერთად შეადგინა და პირადად გაავრცელა პირველი საგიტაციო ფურცელი — „სემიანნიკოვის ქარხნის მუშებს". ამ ფურცელს დიდი წარმატება ჰქონდა მუშათა შორის.

როცა 1895 წელს ვ. ი. ლენინი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს" აარსებს, ბაბუშკინი იმთავითვე ხდება მისი ერთ-ერთი უაღრესად აქტიური წევრი და დაპატიმრებამდე მუშაობს მასში. 1896 წლის იანვარში „ბრძოლის კავშირის" საქმესთან დაკავშირებით მას აპატიმრებენ, ხოლო 1897 წლის თებერვალში ეკატერინოსლავში (დნეპროპეტროვსკი) ასახლებენ სამი წლით, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ეკატერინოსლავში ბაბუშკინი სხვა რევოლუციონერებთან ერთად აარსებს „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს" და სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

შორეულ ციმბირში გადასახლებიდან ვ. ი. ლენინის დაბრუნების შემდეგ ბაბუშკინი კვლავ უკავშირდება ლენინს, აქტიურ მონაწილეობას იღებს გაზეთ „ისკრის" დაარსებაში, ხდება მისი ერთ-ერთი პირველი აგენტი და აქტიური კორესპონდენტი.

„ველრე ივანე ვასილის-ძე თავდაუზოგავი იყო, წერდა ვ. ი. ლენინი, „ისკრას" წმინდა მუშური კორესპონდენციების ნაკლებობა არ განეცდია".

1901 წ. 23 დეკემბერს ბაბუშკინს მეორედ აპატიმრებენ და ალექსანდროვსკის საპყრობილეში ათავსებენ. 1902 წ. ზაფხულში იგი ახერხებს ციხიდან გაქცევას და ჩადის ლონდონში, სადაც მაშინ „ისკრის" რედაქცია იყო მოთავსებული. აქ იგი რამდენიმე თვეს დარჩა და ვ. ი. ლენინის წინადადებით დაწერა ცნობილი „მოგონებები" თავისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ 1893—1900 წლებში.

1902 წლის ოქტომბერში ბაბუშკინი პეტერბურგს ბრუნდება და როგორც „ისკრის" აგენტი ენერგიულ ბრძოლას აჩაღებს ამ დროისათვის მომძლავრებული „ეკონომისტების" წინააღმდეგ. მაგრამ პეტერბურგში იგი მალე დააპატიმრეს და 1903 წ. აგვისტოში 5 წლით გადაასახლეს იაკუტიის მხარეში — ვერხოიანსკში. გადასახლებაში შეიტყო მან რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შესახებ და მტკიცედ დადგა ლენინის, ბოლშევიკების მხარეზე.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ამნისტიით განთავისუფლებული ბაბუშკინი მთელი ენერგიით ებმება რევოლუციურ მოძრაობაში და, როგორც პარტიის ჩიტისა და ირკუტსკის კომიტეტების წევრი, ვ. კ. კურნატოვსკისა და ი. ი. კოსტიუშკო-ვალუჟანიჩთან ერთად ხელმძღვანელობს შეიარაღებულ აჯანყებას ჩიტასა და ირკუტსკში. აქ, ციმბირში, თავის საბრძოლო პოსტზე მამაცურად დაეცა იგი, ისე რომ დახვრეტის წინ მეფის ჯალათებს საკუთარი გვარიც კი არ გაუმხილა და თავისი ხელით- სახელდახელოდ გათხრილ სამარეში „უცნობად" ჩავიდა.

მხოლოდ 1910 წელს შეიტყო ლენინმა ბაბუშკინის გმირული დაღუპვის ამბავი და მის ხსოვნას მეტად გულთბილი ნეკროლოგი უძღვნა, რომელშიაც მას „პარტიის სიამაყე", „სახალხო გმირი" უწოდა. საბჭოთა ხალხები მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ი. ვ. ბაბუშკინის ნათელ ხსოვნას. მისი ღვაწლი და ერთგულება კომუნისტური პარტიისა და მშობლიური ხალხისადმი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების შთამაგონებელი მაგალითია.

რ. გრძელიძე

გურამ რამიშვილი ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის დიპლომანტი სტუდენტია. მას ფაკულტეტზე იცნობენ, როგორც დისციპლინებულ, შრომისმოყვარე და ენერგიულ ახალგაზრდას.

ამჟამად გურამი ენერგიულად მუშაობს თავის სადიპლომო შრომაზე — „კრისტალებში კომპლექსური ცენტრების შექმნის კინეტიკის შესწავლა". ამ თემის სრულყოფილად დამუშავებისათვის საჭიროა მრავალი დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ჩატარება. ამიტომ იგი ამჟამად ძირითად სამეცადინო დროს დიელექტრიკების ფიზიკის ლაბორატორიაში ატარებს, სადაც მას საჭირო კონსულტაციებს უწევს მყარი ტანის ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. კალაბუხოვი.

სურათზე: დიპლომანტი სტუდენტი გ. რამიშვილი (მარცხნივ) პროფ. ნ. კალაბუხოვის დახმარებით მუშაობს თვითმწერ მონოქრომატორზე.

„უსაზღვროდ დიდია ჩემი მოვალეობა"

ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა დოც. ნ. ფირცხალავამ ამას წინათ მიიღო ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ამჟამად — მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის საშუალო სკოლის მასწავლებლის, მზია რამიშვილის წერილი. ეს წერილი შესანიშნავად გადმოგვცემს ახალგაზრდა პედაგოგის გრძნობებს და მისწრაფებებს. მის ავტორს კარგად აქვს შეგნებული საბჭოთა პედაგოგის პატრიოტული მოვალეობა — თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ახალგაზრდობის, კომუნიზმის მომავალი მშენებლების აღზრდის საქმეში.

კეთილშობილური აზრებითაა აღსავსე მისი წერილი. ამ პატარა ბარათში რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი, რამდენი მზე და სინათლე! როგორ უყვარს ახალგაზრდა მასწავლებელს თავისი პროფესია, როგორ უყვარს მშობლიური უნივერსიტეტი, რომლის კედლებში იგი გონებრივად მომწიფდა, რათა დასთესოს მოზარდ თაობაში ცოდნა და სამშობლოს მოუმკოს ღირსეული ნაყოფი!

მზია რამიშვილმა თავის აღმზრდელ კოლექტივს თხოვნით მიმართა დახმარებისათვის სამუშაო ადგილზე შექმნილ დაბრკოლებათა დაძლევაში.

ფაკულტეტის დეკანმა არ დააყოვნა. გაუგზავნა ბარათი, რომლითაც მზიას ფაკულტეტის სახელით, დახმარება აღუთქვა და სთხოვა ეცნობებინა, თუ კონკრეტულად რა არის სკოლისათვის აუცილებელი. ქიმიის ფაკულტეტს სკოლებზე დახმარების კარგი ტრადიცია აქვს და იგი ცხემლისხიდის საშუალო სკოლასაც კარგ დახმარებას აღმოუჩენს ქიმიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

ახალგაზრდა პატრიოტის წერილი საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ესმის ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უმრავლესობას თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე. მისი წერილი გაკვეთილი იქნება ზოგი ამხანაგისათვის, რომელსაც თავისი მოვალეობა ჯერ კიდევ ვერ შეუგნია და გაურბის სამუშაო ადგილზე წასვლას განაწილების მიხედვით, გაურბის სკოლაში მუშაობას.

ქვემოთ ვათავსებთ მზია რამიშვილის წერილს იმ მოსაზრებით, რომ იგი საინტერესოდ ასახავს საბჭოთა ახალგაზრდის მორალურ სახეს. აი ეს წერილიც:

პატივცემულო ნოე!

უპირველეს ყოვლისა ბოდიში მინდა მოგიხადოთ შეწუხებისათვის. დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე მეცნობებინა თქვენთვის ჩემი მუშაობის შესახებ. გამამხნევა იმ აზრმა, რომ ყველა გამზრდელს აინტერესებს თავისი გაზრდილის საქმიანობა.

გასულ სასწავლო წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და მუშაობა დავიწყე ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად. ბავშვობიდანვე ძალიან კარგად ვიცნობდი მასწავლებელთა დარდსა და სიხარულს, მათს მუშაობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს.

არჩეული გზის უკმაყოფილო არა ვარ, პირიქით სიამეს განვიცდი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ ჩემი ცოდნა, რომ წვლილი შემაქვს მათს მომავალში, უბედნიერესი ვიქნები, თუ მათ გონებაში გარკვეულ კვალს დავტოვებ და შევაყვარებ იმ მეცნიერებას, რომელიც მე თვითონ მიყვარს.

არსებული სიძნელენი ენერგიას და მუშაობაში თავისებურ ხალისსაც მაძლევენ; მაგრამ სიძნელეებს დაძლევა უნდა და სწორედ იმიტომ შეგაწუხეთ, რომ უთქვენოდ ვერ მოვერევი. ვერ გადავლახავ არსებულ დაბრკოლებას. საქმე შემდეგშია:

გასული წლის მარტში დაიწვა ჩვენი სასკოლო შენობა და იმ მდიდარი ლაბორატორიიდან, რომელიც სკოლას გააჩნდა, დამწვარი და დაზიანებული შტატივები-ღა დარჩა. ლაბორატორიის გარეშე კი, თვითონაც კარგად იცით, შეუძლებელია ქიმიის დაუფლება, მით უმეტეს ახლა, როცა სწავლების პროცესში პოლიტექნიზმი პირველ ადგილზე დგას.

შემოდგომის ბოლოს დიპლომის ასაღებად ვიყავი უნივერსიტეტში. კვლავ ვიხილე სტუდენტებით სავსე დერეფნები, აუდიტორიები, სადაც ხუთი წელი ვისმენდი გამოცდილი პედაგოგი მეცნიერების ლექციებს, ვნახე ჩვენი ლაბორატორიები, სადაც პრაქტიკულად ვმეცადინეობდით და გული დამწყდა, რომ გაირბინა სტუდენტობის უძვირფასესმა წლებმა, რომ ცხოვრების ერთი პერიოდი, როცა ჩემი ცოდნის შეძენაზე სხვები უფრო მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე თვით მე, უკვე დამთავრდა. მხოლოდ ახლა განვიცადი სინანული გაცდენილი ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების გამო.

მე-17 წელია, რაც ვისმენ 1 სექტემბრის პირველი ზარის ხმას. 16 წლის იგი იმას მომაგონებდა, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობები შექმნა ჩვენი სრულყოფილად განვითარებისათვის, რომ საუკეთესო პედაგოგები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მოეცათ ჩვენთვის, რაც შეიძლება ღრმად ჩაეხედებინათ ბუნების სიღრმეში, ამოეცნობინებინათ მისი საიდუმლოებანი. მე-17 სექტემბრის პირველმა ზარმა კი მაგრძნობინა, რომ სამშობლო ახლა ჩემგან მოითხოვს ცოდნას და იგი ახალი, კომუნიზმის მშენებელი თაობის აღზრდისათვის ესაჭიროება. ამ ზარმა მაგრძნობინა, რომ უსაზღვროდ დიდია ჩემი მოვალეობა, დიდია პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტში ყოფნისას ჩვენი ფაკულტეტის ერთ-ერთმა უფროსმა ლაბორანტმა გამომკითხა ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების შესახებ. მე მას გულახდილად ვუამბე ყველაფერი და არ დამიმალავს ჩემს წინაშე არსებული ის სიძნელეები, რომელთა შესახებაც ახლა თქვენ გწერთ. მან გულწრფელად მითანაგრძნო, გამამხნევა, დამეხმარა კიდეც (რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ) და დამპირდა, რომ უკიდურეს შემთხვევაში შუამდგომლობას გამიწევდა თქვენთან; თუმცა ისიც მითხრა, რომ სკოლების შეფად ყოფნა ახლა არ არის „მოდაში", მაგრამ როცა საქმე ახალი თაობის მომავალს ეხება, ჩემი აზრით, „მოდა" ყურადღების ღირსი არ არის.

თითქმის ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მსურდა. თქვენი იმედი მაქვს, როგორც შვილს მშობლისა. თქვენ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, დამეხმარეთ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში. თვითეული თქვენი სიტყვა ახლა განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია ჩემთვის.

გთხოვთ მაპატიოთ ასეთი გაბედულობა და თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ.

თქვენი კურსდამთავრებული

მზია რამიშვილი

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები დიდი ინტერესით ესწრებიან და ისმენენ დოც. ე. მჭედლიშვილის ლექციებს მხაზველობით გეომეტრიაში. მათ იციან, რომ ეს საგანი დიდ დახმარებას გაუწევს შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ ისინი ყოველი ლექციისათვის გულდასმით ემზადებიან და პრაქტიკულ სამუშაოებსაც კეთილსინდისიერად ასრულებენ.

სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ზ. ბუხაიძე (მარჯვნივ) დაფაზე ასრულებს მორიგ ამოცანას.

დასვენების საღამო

ამასწინათ ჩვენი უნივერსიტეტის მესამე კორპუსში ბიოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ბიუროებმა მოაწყეს სტუდენტთა დასვენების საღამო, რომლის პროგრამაში იყო სხვადასხვა გართობა-თამაშობები, ცეკვები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი საღამო ბიოლოგიის ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა.

რ. ჟორჟანია

კინო

„ორი ოკეანის საიდუმლოება"

შრომისა და სწავლისმოყვარე საბჭოთა ახალგაზრდობას ოცნებაც უყვარს, ლაღი ოცნება.

ჩვენ გვაინტერესებს დავინახოთ ხვალინდელი დღე. ამაში ფანტაზია გვეხმარება.

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ფანტაზიას; მას თვით მათემატიკური ინტეგრალების გამოანგარიშებაც კი შეუძლებლად მიაჩნდა ფანტაზიის გარეშე. ხალხის სანუკვარი ოცნება პირველად ფანტაზიაში აისახება. ოდესღაც შეუძლებლად თვლიდნენ ადამიანის ჰაერში ფრენას, წყალქვეშ ცურვას. მაგრამ დღეს ეს არავის უკვირს.

ყოველივე ამის გამო გასაგებია ის ინტერესი, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა იჩენს ფანტასტიკურ-სათავგადასავლო ფილმებისადმი.

პრესაში გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა გემის „არქტიკის" დაღუპვის შესახებ. დაღუპვის მიზეზი გაურკვეველია. ასევე უცნობი მიზეზის გამო წყნარ ოკეანეში ჩაიძირა საფრანგეთის გემი „ვიქტუარი", ასე იწყება ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის" ახალი ნაწარმოები „ორი ოკეანის საიდუმლოება" (ადამოვის ამავე სახელწოდების სათავგადასავლო მოთხრობის მიხედვით. სცენარის ავტორები ალექსეევი და როჟკოვი).

საბჭოთა მთავრობა ამ ფაქტს უყურადღებოდ არ ტოვებს. გემის დაღუპვის მიზეზის გასაგებად ატლანტის ოკეანეში აგზავნიან წყალქვეშა ნავს—„პიონერს", რომლის კაპიტანია ვორონცოვი. ნავზე იმყოფებიან გამოცდილი მეზღვაურები და მეცნიერ-მუშაკები. მაგრამ მტერს არ სძინავს, რადგან მას კარგი დღე არ მოელის, თუ „პიონერის" ეკიპაჟი გემის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს გამოარკვევს. ამიტომ მტრის ბანაკი კვლავ აამოძრავდა. საქმადაც უკვე—თვითონ „პიონერის" გასანადგურებლად. მტერმა იმდენი მოახერხა, რომ წყალქვეშა ნავზე ინჟინერ-მექანიკოსად თავისი აგენტი გორელოვი მოათავსა. მოქმედებას ლენინგრადში გადავყავართ. ვიღაც უცნობი სტუმრის წინადადებით მუსიკოსი ივაშოვი, რომელიც აგრეთვე მტრის მოსყიდული აგენტია, როიალში ოსტატურად მოთავსებული გადამცემით აგზავნის დაშიფრულ რადიოგრამას წყალქვეშა ნავის — „პიონერის" ოკეანეში გასვლის დროის შესახებ.

ივაშოვის დივერსიული მოქმედება შეუმჩნეველი არ რჩება ჩვენს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. მათი წარმომადგენლები ბინაზევე აპატიმრებენ ივაშოვს, მისი სტუმარი კი გაქცევას მოასწრებს.

მუსიკოსმა რაღაც აბების საშუალებით თავი მოიმკვდარუნა და ამ ოინით მანაც მოახერხა გაქცევა. უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები დაედევნენ ივაშოვს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოასწრო ლენინგრადის ერთ-ერთ ხიდზე გადასვლა, ხოლო მდევარს ხიდის აწევამ ხელი შეუშალა მის შეპყრობაში.

„პიონერზე" მყოფი გორელოვი დივერსიულ მუშაობას აჩაღებს. მან, ზღვაში გასულმა, მოახერხა სიგნალი მიეცა მტრისათვის „პიონერის" ადგილსამყოფელის შესახებ. ზემდეგმა სკვორეშნიამ მას დანაშაულზე წაასწრო და შეიტყო მისი მავნებლური მოქმედება, მაგრამ გორელოვთან მომხდარი წყალქვეშა შეტაკების შემდეგ იგი ნავს აცდა და დიდხანს ველარ დაბრუნდა. თავის მხრით, გორელოვს, რომელიც გასაქცევად ემზადებოდა, წაუსწრებენ, ნავზე დააბრუნებენ. აქ გორელოვმა დაღუპული „არქტიკის" კაპიტნის პატარა ვაჟიშვილის მოტყუებით ხელში ჩაიგდო ნავის რეისის რუკა. ამასობაში პროფ. ლორთქიფანიძემ, რომელიც ნავის ეკიპაჟში შედიოდა, ზღვაში აღმოაჩინა სკვორეშნია და ნავზე დააბრუნა. როცა გორელოვმა შეიტყო სკვორეშნიას დაბრუნება, იგი შეშინდა — ყველაფერი გამომჟღავნდებაო. ამიტომ ნავი დანაღმა და გაიქცა. სკვორეშნია დაედევნა გორელოვს, ხმელეთზე შეიპყრო იგი და უკანვე მოიყვანა.

მალე რიგაში დააპატიმრეს ივაშოვიც. მის დაკითხვისას გამოირკვა, რომ იგი და გორელოვი ჯერ ფაშისტური გერმანიის დაზვერვის აგენტები იყვნენ, ხოლო შემდეგ სხვა შეფის მითითებით მოქმედებდნენ. აქვე აეხადა ფარდა მათ მიერ ჩადენილ მრავალ ბოროტებას. ბოროტმოქმედთა უკანასკნელი მიზანი გააუვნებლეს. „პიონერი" მისი ფხიზელი ეკიპაჟის შემწეობით უვნებლად დაბრუნდა სამშობლოში.

ამ უაღრესად საინტერესო ფილმის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა გააზრებული თამაში. ჭკვიანი და ცბიერი დივერსანტის სახე შექმნა მსახიობმა ს. გოლოვანოვმა. დაუნდობელი და გაიძვერაა გ. გლეზერის მიერ განსახიერებული მუსიკოსი ივაშოვიც.

ვორონცოვი, ს. სტოლიაროვის შესრულებით, დინჯი, აუჩქარებელი და უაღრესად გონიერი ადამიანია. იგი თვალყურს ადევნებს მტრის ყოველ მოქმედებას და ახერხებს არ აგრძნობინოს ეს მათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვ. ნინუა პროფესორ ლორთქიფანიძის როლში. მსახიობი ახერხებს მისთვის ჩვეული მსუბუქი ჰუმორით ქართველი მეცნიერის უაღრესად კოლორიტული სახის შექმნას. განსაკუთრებული ხალისი და საქმის დიდი სიყვარულია აღბეჭდილი მის სახეზე, როცა იგი ქართული სიმღერის ღიღინით ეშვება ოკეანის ფსკერზე.

კარგად მონახული შტრიხია!

შესანიშნავია პატარა ი. ბრისტოლი პავლიკის როლში.

მიუხედავად იმისა, რომ სცენარის მიხედვით რამდენადმე სქემატურია წყალქვეშა ნავის ექიმის ბისტრიხის სახე, მსახიობმა მაქსიმოვამ მაინც მოახერხა დასამახსოვრებელი სახის შექმნა.

გულუბრყვილო, მაგრამ მტკიცე ხასიათის მქონეა ექიმის მამა — მოხუცი ბისტრიხი პიროგოვის შესრულებით. შედარებით სუსტია ი. პრეისი სასტუმროს დიასახლისის როლში.

ფილმის ღირსებას ზრდის კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის მელოდიური მუსიკა. ერთმანეთთან ისე კარგადაა ფილმში დაკავშირებული ფანტასტიკური და რეალური ელემენტები, რომ მკვეთრად ვერ გაავლებთ ზღვარს—სად თავდება რეალური და სად იწყება ფანტასტიკური. ეს საინტერესო ფილმი ერთხელ კიდევ მიგვითითებს, იმაზე, რომ „კომუნისტების სიფხიზლე საჭიროა ყოველ უბანზე და ყველა ვითარებაში".

ნ. ჩხილაძე,

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტი.



ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კორპუსში არსებული ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია რამდენიმე ფაკულტეტს ემსახურება. აქ ზოგად ფიზიკაში პრაქტიკული სამუშაოები ხანგრძლივად უტარდებათ გეოგრაფია-გეოლოგიის, მექანიკა-მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებს, რომლებსაც საქმიან დახმარებას უწევენ ამ ლაბორატორიაში მომუშავე ლაბორანტები — თ. ჯიბუტი და ა. კალანდაძე. ახლა [illegible] პრაქტიკული სამუშაოებისათვის ამზადებენ მასალებს ამა თუ იმ ექსპერიმენტის ჩასატარებლად და უშუალოდ ეხმარებიან სტუდენტებს ცდის ჩატარებაში.

სურათზე: ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის ლაბორანტები თ. ჯიბუტი (მარცხნივ) და ა. კალანდაძე (მარჯვნივ) ახალი ცდის მოწყობის დროს.

შეხვედრა აუდიტორიაში

ამას წინათ ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველმა კურსმა პროფ. ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით ექსკურსია მოაწყო თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სტუდენტებმა დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველი ექსპონატები. აქ მათ გაიგეს, რომ ამ მნიშვნელოვანი მუზეუმის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილს. სტუდენტებმა გადაწყვიტეს პირადად ესაუბრათ პოეტთან. ამ მიზნით 18 თებერვალს პირველკურსელებმა ი. გრიშაშვილი უნივერსიტეტში მოიწვიეს და შეხვედრა მოუწყვეს მას.

შეხვედრაზე, რომელიც გახსნა ნ. მახარაძემ, პირველკურსელებმა რამდენიმე საინტერესო მოხსენება წაიკითხეს: ზ. თალაკვაძემ განიხილა ძველი თბილისის თემა პოეტის შემოქმედებაში. ი. რამიშვილმა და ე. ხინთიბიძემ მსმენელებს გააცნეს ძველი თბილისის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტრადიციული გართობა „ყეენობა". ნ. წერეთელმა მოხსენება გააკეთა ნიჭიერი მხატვრის ჰაჯიბეკოვის შესახებ, რომლის ნახატების შეკრებისა და მუზეუმისთვის გადაცემის საქმეში ი. გრიშაშვილმა ბევრი რამ გააკეთა. სტუდენტმა თ. გვერდწითელმა მოხსენება წაიკითხა თემაზე— სამამულო ომის ასახვა ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში.

შეხვედრაზე სტუდენტებმა ნ. გაბრიჩიძემ და გ. აბულაძემ წაიკითხეს პოეტ ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები.

დასასრულს ი. გრიშაშვილმა სტუდენტებს მოუთხრო რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი ძველი თბილისის ცხოვრებიდან, ესაუბრა მხატვარ ჰაჯიბეკოვზე და წაუკითხა თავისი ლექსები.

კარგი იქნება, რომ ასეთი სასარგებლო და საინტერესო ღონისძიებანი უფრო ხშირად ეწყობოდეს და არა მარტო ფილოლოგიის, არამედ სხვა ფაკულტეტზეც.

თ. ჯავახიშვილი

დეტალი ილია ჭავჭავაძის თეატრალური მოღვაწეობიდან

ილია ჭავჭავაძის თეატრალურ მოღვაწეობაზე საკმაო ლიტერატურა მოიპოვება. ამ უკანასკნელ პერიოდში ამ მხრით კიდევ ზოგიერთი საგულისხმო დოკუმენტი გამოვლინდა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ეკიდებოდა ილია მუდმივი თეატრალური დასის ჩამოყალიბების საქმეს 1879 წელს. იგი როგორც თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა იმ თეატრალურ კომიტეტს, რომლის წევრები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ნიკო ავალიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი თუმანიშვილი და სხვ. ამ კომიტეტის ენერგიული შრომითა და გონივრული მოქმედებით საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოჩენილ ქართველ მსახიობს კოტე მესხს ათქმევინა — „1879 წელს გათავდა ჩვენი აქა-იქ ლოღიალი და სცენის მოყვარეთა ძებნაო", ხოლო იონა მეუნარგია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „ჩვენს ქვეყანაშიც გაჩნდა ულვაშმოპარსული ქართველი მსახიობიო", რაც იმას ნიშნავდა, რომ პროფესიონალურ თეატრს პროფესიონალური აქტიორიც მოჰყვა.

ილია ჭავჭავაძის მზრუნველობა ქართული თეატრისათვის, ცხადია, 1879 წ. არ დამთავრებულა მუდმივი დასის შექმნით. იგი შემდეგ წლებშიც განაგრძობდა თეატრისათვის ინტენსიურ ზრუნვას; ამ ზრუნვის მთავარი საგანი იყო ახლადდაარსებული თეატრისათვის საჭირო სახსრების გამოძებნა და საარსებო ფონდის შექმნა, ნიჭიერი და უნარიანი აქტიორების შემოკრება და მათთვის ჯეროვანი პირობების შექმნა, ქართული რეპერტუარის გამინაარსიანება და გამდიდრება.

ილიას აღაფრთოვანებდა ის გარემოება, რომ იმ ხანებში ქართველი საზოგადოების უმეტეს ნაწილში არა თუ მარტო „გაძლიერდა მუდმივი ქართული სცენის დადგენის სურვილი", არამედ „ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს" (ტ. VI, გვ. 43). მისივე ბრძნული განმარტებით, ამ სურვილის განხორციელება საჭირო და აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ „ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარებისათვის სკოლას" (ტ. VII, გვ. 311).

ქართული თეატრის გაძლიერებისა და კეთილად წარმართვისათვის ილია ჭავჭავაძის ზრუნვის ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი ნიმუშია ქვემომოყვანილი ბარათი, რომელიც იონა მეუნარგიას მიუწერია იმ ხანებში ქუთაისში მცხოვრები ცნობილი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძისათვის. იმ წლებში ი. მეუნარგია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანი იყო და მას იმავე საზოგადოების თავმჯდომარის—ილია ჭავჭავაძის დავალებით გაუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის ეს წერილი. აღნიშნული წერილით იონა კირილეს თხოვდა, რათა იგი მოლაპარაკებოდა ქუთათელ სცენისმოყვარეს, იმერელი ბიჭის როლის კარგად შემსრულებელს — ესტატე იოსელიანს, რათა ეს უკანასკნელი, როგორც იმერული როლების კარგი შემსრულებელი, ქართული თეატრის კომიტეტის მიწვევით დაუყოვნებლივ წასულიყო თბილისში, მით უფრო, რომ იმ ხანებში აკაკის ორი პიესა უნდა დადგმულიყო, და ამისათვის კი იმერლის როლების წესიერი და მოხდენილი შემსრულებელი იყო საჭირო. ასეთი კი, თბილისის ქართულ თეატრს, როგორც ჩანს, აკლდა. ამავე წერილიდან ჩანს, რომ თეატრის კომიტეტი კისრულობდა ესტატე იოსელიანისათვის სათანადო პირობების შექმნას, უკეთუ ეს უკანასკნელი მუდმივ დასში დარჩებოდა.

წერილში ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, მის პოსტ-სკრიპტუმში ილიას საკუთარი ხელითაც მიუწერია, რომ ყველა საქმეში დინჯსა და აუჩქარებელ კირილეს ამ შემთხვევაში სისწრაფე გამოეჩინა. აქვე მოგვყავს ეს პატარა ბარათიც:

„8 მაისს 1880 წ.

ძმაო კირილე. ქართული თეატრის კომიტეტმა მთხოვა მოგწეროთ თქვენ შემდეგი წერილით.

კომიტეტმა გადაწყვიტა ესტატე იოსელიანის მოწვევა იმერული როლების სათამაშებლად. გაისარჯეთ, ნახეთ ეს იოსელიანი და გადაეცით, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს თბილისში. ჯერ ის უნდა გამოვიდეს აკაკის ორ პიესაში და მერე, თუ თავი გამოიჩინა, კომიტეტი პირობით შეეკვრება ერთი წლით. ამასთან გადაეცით, რომ კომიტეტი კისრულობს ყოველნაირ ხარჯს მის მოგზაურობისათვის და პირობის შეკვრამდე რამდენჯერაც სცენაზე გამოვა, ექნება დანიშნული разовые деньги.

გთხოვთ ეს კომიტეტის თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულოთ.

თქვენი პატივისმცემელი

ი. მეუნარგია

შენი ჭირიმე კირილე, მალე მოგვაშველე ბატონი იოსელიანი, ძალიან აქებენ".

ილია ჭავჭავაძე

დედანი ამ ბარათისა დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმში (№ 655).

ს. ცაიშვილი

დრო აღარ ითმენს

1956 წელი დიდი სპორტული მოვლენების წელია. სულ რამდენიმე თვე დარჩა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე, თუ არაფერს ვიტყვით ოლიმპიურ თამაშობებზე, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაც გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

საკავშირო სპარტაკიადამდე რესპუბლიკური სპარტაკიადები უნდა ჩატარდეს, რასაც წინ უძღვის ბევრი სპორტული ღონისძიება — ჩემპიონატი, მატჩი თუ სპარტაკიადა. ამ ღონისძიებებიდან ჩვენი უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივისათვის მნიშვნელოვანია ქალაქ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადა, რომელიც მიმდინარე წლის 18 მარტს დაიწყება და 28 მარტამდე გასტანს. ამ სპარტაკიადაში შეჯიბრება სპორტის 9 სახეში ჩატარდება.

სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოეწყო სამატჩო შეხვედრები ამიერკავკასიის უნივერსიტეტების სპორტულ კოლექტივების შორის. ამ შეხვედრაში კარგი შედეგი უჩვენეს ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა და მძლეოსნებმა.

უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ, სპორტულ კლუბთან ერთად უკვე დააკომპლექტა ნაკრები გუნდები, რომლებიც აღნიშნულ სპარტაკიადაზე უნდა გავიდნენ.

გუნდების გეგმაზომიერი წვრთნისათვის გამოყოფილი არიან პასუხისმგებელი და დამხმარე მასწავლებლები. გუნდები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან მეცადინეობისათვის საჭირო ბაზებითა და ინვენტარით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აღნიშნული სპარტაკიადისათვის მზადებაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. გვაჩნია ნაკლოვანებანი.

მძლეოსნობის სექციას, მაგალითად, ჯერაც არა ჰყავს შერჩეული და მომზადებული 3 მონაწილე სპორტულ სიარულში. ასეთივე მდგომარეობაა ჰოკეით ხტომაში. ვაჟთა შორის თარჯზებში 3 მონაწილეა საჭირო, ქალებისათვის კი არც ერთი არაა მზად. ასევე, შუბის ტყორცნაში საჭიროა სამი მონაწილის გაყვანა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ სახეობაში არავინ არაა შერჩეული ისეთი, რომელიც თუნდაც ჩათვლის გარანტიას იძლეოდეს. მძლეოსნობის სექციის ზოგიერთ წევრს, გარდა იმ სახეობისა, რომელშიაც იგი მუშაობს, დამატებით უხდება მონაწილეობის მიღება ისეთ სახეობაშიც, რაშიც მას ფაქტიურად არ უვარჯიშნია. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ თავის დროზე არ იქნა ჩატარებული სათანადო მუშაობა, რათა საჭირო კონტინგენტით დაკომპლექტებულიყო ნაკრები გუნდი.

სავალალო მდგომარეობაა ფრენბურთის სექციაში. ამ სექციის ქალთა განყოფილება მიმდინარე წლის 24 თებერვლამდე დროგამოშვებით ვარჯიშობდა. სექციის მუშაობა მწვრთნელის შ. მარგიშვილის ანაბარად იყო მიტოვებული. მარგიშვილი ხშირად აცდენდა მეცადინეობას და ასევე იქცეოდნენ სექციის წევრებიც.

რაც შეეხება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდს, მათს მუშაობაშიც არაა სახარბიელო მდგომარეობა. გუნდის საწვრთნო ვარჯიშებს ხშირად არ ესწრებიან მისი წევრები — სტუდენტები მ. ზვიადაძე, ვ. ცერცვაძე (ორივენი ფიზიკის ფაკულტეტიდან) და სხვები.

ცუდადაა დაყენებული ცურვის სექციის მუშაობა. ამ სექციიდან უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდში ჩარიცხულია 18 მოცურავე, რომელთაგან სპარტაკიადისათვის სამზადისში ფაქტიურად მხოლოდ 6 კაცია ჩაბმული, დანარჩენები კი ვარჯიშზე არ დადიან. ასეთ უპასუხისმგებლობას იჩენენ, მაგალითად, პირველთანრიგოსნები ა. მეტრეველი (ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) და ვ. ზნამენსკი (ქიმიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი), მეორეთანრიგოსანი თ. ორმელი (ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი) და სხვ.

დიდი ხანია უმოქმედობას იჩენს სროლის სექციაც. აქამდე მიზეზად ასახელებდნენ საზამთრო სტენდის უქონლობას, რაც ცხადია, ხელს უშლიდა სექციას ზამთრის პერიოდში მუშაობაში. ამ დღეებში კათედრამ შეძლო გამოენახა სროლისათვის საჭირო სავარჯიშო ბაზა, მაგრამ, ჩანს, მარტო ეს როდია საკმარისი. რაც მთავარია, საჭიროა დაინტერესებულობა. ამ სექციის ბევრ წევრს კი სწორედ ეს აკლია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეცადინეობას ან სულ არ ესწრებიან ანდა ხშირად აცდენენ ე. ჩუბინიძე (ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი), ა. აიაზიანი (ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) და სხვები.

სტუდენტთა უმრავლესობა, რომლებიც ნაკრები გუნდების საწვრთნო მეცადინეობებს აცდენენ, ფიზიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებიდანაა. ამ ფაკულტეტების კომკავშირული და პროფკავშირული ბიუროები და ფიზკულტურული საბჭოები კი ნაკლებად ინტერესდებიან აღნიშნული ფაქტებისადმი ყურადღების გამახვილებით.

ბევრი რამაა დამოკიდებული სპორტული კლუბის მუშაობაზე, კლუბის და ფიზკულტურული საბჭოების შეთანხმებულ მუშაობაზე, მაგრამ, არც ერთი და არც მეორე ჯერჯერობით არ ჩანს. დრო კი აღარ იცდის. თუ დროულად არ გამოვასწორებთ ამ მდგომარეობას, ისე, ცხადია, მხოლოდ წარუმატებლობა გვხვდება წილად. თუ შეჯიბრებაზე მოუმზადებელი სპორტსმენებით გავალთ, ისინი საპრიზო ადგილებს კი არა, ჩათვლასაც ვერ მიიღებენ. სპარტაკიადაზე კი სწორედ საპრიზო ადგილების დაკავებისათვის უნდა ვიბრძოდეთ და არა ჩათვლისათვის.

სპარტაკიადის გახსნამდე ცოტა დრო დარჩა. მაგრამ თუ ამ დროს მაქსიმალურად გამოვიყენებთ და მთელი ენერგიით ვიმუშავებთ, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, რათა წარმატებით დავიცვათ უნივერსიტეტის სპორტული ღირსება.

მთელი ჩვენი სპორტული კოლექტივი ამ საპატიო მიზნის მიღწევისათვის სწრაფვის სურვილით უნდა იყოს გამსჭვალული.

მ. კასრაძე

ჩვენი მთამსვლელები ამიერკარპატეში

(დასასრული*)

3 თებერვალს დილის 7 საათზე კირუეთ გასასვლელად ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა — 32°-იან ყინვაში და ქარში, (რომელიც ქედზე აუცილებლად უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ტიფობში), გასვლა არ გვირჩიეს.

— მიუხედავად ამისა, ჩვენ აუცილებლად უნდა გავემართოთ, ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში მარშრუტი სრულად და განსაზღვრულ დროზე ადრე უნდა გავიაროთ! — გვითხრა ვახტანგ ქვაჭაძემ.

ერთხელ კიდევ შევამოწმეთ საჭურველი და ტურბაზიდან დასავლეთით მდებარე ბლიზნეცის მთისაკენ გავემართეთ. ორი საათის განმავლობაში ქვეითად მივდიოდით. მთა „ველიკი მენჩულის" ფერდზე კი თხილამურებზე დავდექით და სრიალით გავუდექით გზას, რომელიც ხშირ ნაძვნარში გადიოდა. მძიმე ზურგჩანთა და ჩქარი სიარული სიცივისაგან „გვიცავს". მაღალ საძოვარზე — დრაგობრაცის ველზე, პატარა წყაროსთან, რომელიც ახლა მთლად გაყინული იყო, დაგვხვდა მწყემსების სახლი, ე. წ. კოლიბი, რომელშიაც რამდენიმე პატარა ოთახია. ყოველ ოთახში ღუმელი და დიდი რაოდენობის შეშა, რომელსაც შემოდგომაზე ამარაგებენ. ყოველ კაცს შეუძლია გამოიყენოს ღუმელი, მაგრამ იმ პირობით, რომ სანამ კოლიბს დატოვებდეს, მან ცეცხლი უნდა ჩააქროს და დაასუფთაოს იქაურობა. საერთოდ ღამეს მოლაშქრეები იქ ათევენ, მაგრამ დროის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით ჩვენ ამაზე ხელი ავიღეთ და უკვე სადილობის შემდეგ გზა განვაგრძეთ. ნისლის გამო ადრე ჩამობნელდა და მწვერვალ ბლიზნეცის დასავლეთ კალთაზე კარვები გავშალეთ.

დილით ადრე ავდექით. თოვლით დაფარული კარვებიდან ძლივს გამოვძვერით და ისევ გავუდექით გზას, რომ ადრე კი გვესაუზმნა. რამდენიმე საათის შემდეგ შევედით ტყეში, სადაც ქარის ძლიერება შესუსტდა და საშუალება მოგვეცა გვესაუზმა.

დუმენის ქედის გადავლით სასიამოვნო იყო მდინარე შავი ტისის ხეობაში საღამოთი დაშვება. შავი ტისი დუნაის ძირითადი შენაკადია. იგი მთის მდინარეა და აქაური მოსახლეობა ხე-ტყის დასაცურებლად იყენებს. მდინარე გაყინული დაგვიხვდა და ეს ძალზე გვესიამოვნა, რადგან თხილამურებითვე შევძელით გადაადგილება მასზე. ლურჯი ყინული თავის ნებაზე გვატარებდა. შეუძლებელი იყო დაუცემლად 5 ნაბიჯის გადადგმა. ერთ-ერთი მოსალოდნელი დაცემის დროს იმარ ბერაძეს ყინული ჩაუტყდა და წყალში ამოჰყო თავი. რაც შეიძლებოდა მოკლე დროში ამოვიყვანეთ და გამოვუცვალეთ ტანსაცმელი. დანარჩენი ამხანაგების გადმოსაყვანად ახალი გზა მოვნახეთ.

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ დიდი დრო წაგვართვა და იძულებული შევიქენით ღამე ხეობაში გაგვეთია.

მშვენიერი დილა გაგვითენდა. ნისლი არ იყო და გარემოს გატაცებით ვათვალიერებდით. თბილისიდან გამოსვლის შემდეგ ყინვა ჩვენი თანამგზავრი გახდა, ამასთან, ქარიც ენერგიულად ბობოქრობდა და გვაიძულებდა სათვალეების გაკეთებას, მაგრამ იმდენად მოხიბლული ვიყავით ბუნების სილამაზით და ზოგჯერ სრიალით, რომ ზოგი ჩვენთაგანი სიმღერასაც კი წამოიწყებდა ხოლმე.

ნაძვის ხეები მთლად დაფარულია თოვლით. ტოტები აღარ უჩანთ და ყოველი პატარა ხე თეთრ დათვს მოგვაგონებს. ასეთი ნალექიანი ზამთარი ამიერკარპატებში იშვიათი ყოფილა. თოვლში ღრმად ვეფლობით. დაბალყელიანი სათხილამურო ბათინკები შესაფერ მოხერხებას ვერ გვიწევენ.

რამდენიმე გორაკი გადავლახეთ და გორგანის ქედის ძირში დავბანაკებულვიყავით(?). ეს იმიტომ, რომ გზის ყველაზე რთული მონაკვეთი მეორე დღეს უნდა გაგვევლო, რისთვისაც ძალები იყო საჭირო. რკინის ქილებში ჩაყინული საჭმლის ამოსაღებად დანის ნაჭრევი(?) გვეჭირა. ვნანობთ, რომ წეროვანი(?) არა გვაქვს, რომელიც ქილიდანაც კარგად ამოიღებდა და ბეხვის(?) დამტვრევაშიც გამოგვადგებოდა. ვცდილობთ(?) თუ არა, სადილებში გავეჩვიეთ.

6 თებერვალი რაც შეიძლება მალე ვიწყებთ მოძრაობას, რათა კლდე(?) გავცდეთ. სველი ტანსაცმლით ზურგჩანთა უფრო დამძიმდა. ტყის ზოლი დავთოვეთ(?) და გავედით ქედზე, სადაც ქარი თავის სწევის საშუალებას არ გვაძლევს. ერთმანეთს ვაჩერებთ და ვათვალიერებთ სახეზე მოყინვის ნიშნების აღმოსაჩენად. მაგრამ საბედნიეროდ ვერაფერს ვპოულობთ. მალე თხილამურებიდან გავთავისუფლდით და ღრმა ფერდობზე ცინცხალ(?) დავიწყეთ მოძრაობა.

აქამდე ეს გზა ზამთრის პირობებში არავის არ გაუვლია. მართალია, იგი მოკლეა, მაგრამ ტექნიკურად მეტად რთულია. ამიტომ დიდი ყურადღებით ვათვალიერებთ ზვავსაშიშ ფერდებს და მორიგეობით ვკვალავთ გზას. გურამ რჩეულიშვილმა მარცხენა ფეხის უგრძნობლობა გამოაცხადა. საჩქაროდ გავხადეთ და დავზილეთ ფეხი, სილურჯის დაკარგვის შემდეგ ჩავაცვით მშრალი წინდები და ისევ ენერგიულად გავუდექით გზას. მწვერვალიდან კარგად ჩანდა დიდი რუსეთის(?) და ამიერკარპატების ვრცელი ველები. ადგილების დეტალურად დათვალიერების დრო არ გვქონდა. მწვერვალზე შევხვდით ლვოველ(?) და რიგელ მთამსვლელთა ჯგუფებს. მათ ბარათები შევუცვალეთ, კეთილი გზა ვუსურვეთ და თხილამურებით დავეშვით ამოსვლის საწინააღმდეგო ფერდზე.

საღამოს 8 საათზე ზიმირში(?) ვიყავით, მაგრამ იქ არ შევჩერებულვართ. მოვინდომეთ რეკორდის დამყარება და სირბილით გავემართეთ იასენიასკენ. ღამის 11 საათზე უკვე ტურბაზაში ვიყავით. დირექციამ მოგვილოცა შვიდდღიანი მარშრუტის 4 დღეში გავლა და საზეიმო ვახშამი გაგვიმართა, სადაც ქართული, რუსული და უკრაინული სიმღერები ერთმანეთს ცვლიდნენ.

ჩვენი პატარა კონცერტით და მეგობრობით მოხიბლულმა დირექციამ და დამსვენებლებმა მეორე დღეს გულთბილად გამოგვაცილეს.

უცხო კუთხის გაცნობით და შინაარსიანი დასვენებით მოყოფილი(?) მთამსვლელები ახალი ენერგიით შევუდექით მორიგ სესიას.

გ. თიკანაძე

* * *

სურათებზე: ზევიდან ქვევით — მწვერვალ გოვერლას კალთებზე; სტუდენტ-მთამსვლელები დასვენების დროს; ქვევით მარჯვნივ — მონაწილეთა ერთი ჯგუფი; მარცხნივ — მწვერვალ პეტროსის მისადგომებზე. ფოტო გ. თიკანაძისა.

* დასაწყისი იხ. ჩვენი გაზეთის 27 თებერვლის ნომერში.

რედაქტორი ირ. მეშვაიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-26-00.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 02127.